ინდივიდუალური მეწარმე ,,იუზა გეფერიძე“

მისამართი: ქ. თბილისი, ლ. არდაზიანის ქ№30

ს/კ 01024028796/ ტელ: 599 37 14 02

ქ. თბილისი 22 ივნისი 2018 წელი

დამკვეთი: შ.პ.ს ,,№12“. ს/კ 404406549

კონსტრუქციული დასკვნა კორექტირებული სამუშაოების შესახებ

ქალაქ თბილისში, უზნაძის ქუჩა №82-ში შ.პ.ს. ,,№12,, - ის (ს/კ 404406549) საკუთრებაში არსებული 668 კვ.მ. ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის საკადასტრო კოდი 01,13,08,001,059) არსებული 2 სართულიანი შენობის რესტავრაცია რეაბილიტაციის, სასტუმრო ,,ჯაზ ჰოტელი,,-ს კორექტირებული სარეკოსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის შესახებ.

ქალაქ თბილში, უზნაძის ქუჩა №82-ში შ.პ.ს. ,,№12,,-ის (ს/კ 404406549) საკუთრებაში არსებული 668 კვ.მ, ფართობის არასასაფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის საკადასტრო კოდი 01,13,08,001,059) არსებული 2 სართულიანი შენობის რესტავრაცია რეაბილიტაციის, სასტუმრო ,,ჯაზ ჰოტელი,, -ს სარეკოსტრუქციო სამუშაოების განხორციელების მშენებლობის ნებართვა გაცემულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 9 დეკემბერს, ბრძანების ნომერი 2989247.

შეთანხმებული პროექტით გათვალისწინებული არსებული ლენტური საძირკვლების გაძლიერება - 2,90 ნიშნულზე რისთვისაც გათვალისწინებულია მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ფილის მოწყობა, რომლის სისქეა 200 მმ, საძირკვლის ფილის ქვედა შრეში ეწყობა ф14A500C კლასის არმატურა, რომლის ბიჯია 200 მმ, აგრეთვე მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ფილის ზედა შრეში ეწყობა ф14A500C კლასის არმატურა, რომლის ბიჯია 200 მმ. დამცავი შრის სისქეა 25 მმ.

საძირკვლების გასაძლიერებლად აგრეთვე ეწყობა მონოლითური რკინაბეტონის კოჭები, რომლის კვეთია 500×500 მმ. მონოლითური რკინაბეტონის კოჭების შეჭრა არსებულ მზიდ კედლებში შეადგენს 350 მმ, რომლის გრძივი არმატურა ზედა და ქვედა შრეში არის 10 ცალი ф20A500C კლასის არმატურა, ხოლო განივი არმატურად აღებულია ф8A240C კლასის არმატურა, დამცავი შრის სისქეა 30 მმ.

მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ფილის და კოჭების დაბეტონება გათვალისწინებულია B-25 მარკის ბეტონით. აგრეთვე საძირკვლების გაძლიერება გათვალისწინებულია 0.00 ნიშნულზე მონოლითური რკინაბეტონის ფილით, რომლის სისქეა 250 მმ. მონოლითური რკინაბეტონის ფილის ზედა და ქვედა შრეში გათვალისწინებულია ф14A500C კლასის არმატურა, რომლის ბიჯია 200 მმ. დაბეტონება გათვალისწინებულია B25 მარკის ბეტონით. ლენტური საძირკვლების გამაგრება 0.00 ნიშნულზე აგრეთვე გათვალისწინებულია არსებული ლენტური საძირკვლის სიგანის გაზრდით, გაძლიერება გათვალისწინებულია მონოლითური რკინა-ბეტონით არსებულ საძირკვლებთან ჩაანკერებით. ბეტონის მარკა აღებულია B25.

არსებული შენობის მიწისზედა მზიდი კონსტრუქციების გამაგრება-გაძლიერების პროექტით გათვალისწინებულია - 0.10 ნიშნულზე მონოლითური რკინა-ბეტონის გადახურვის მოწყობა, რისთვისაც ეწყობა არმატურის გადახურვის მოწყობა, რისთვისაც ეწყობა არმატურის ბადე ф10A500C კლასის არმატურით, რომლის ბიჯია 200 მმ. ბეტონის მარკაა B25. აგრეთვე გათვალისწინებულია - 0.10 + 4.00 ნიშნულამდე დაზიანებული ღობების და კედლების გამაგრება-გაძლიერება.

გამაგრება-გაძლიერების კონსტრუქციული პროექტით გათვალისწინებულია +4.00 ნიშნულზე მონოლითური რკინა-ბეტონის გადახურვის გაძლიერება, რისთვისაც შენობის განივი მიმართულებით ეწყობა ლითონის ორტესებრი კოჭები N30, N24, N18. აგრეთვე ეწყობა მონოლითური რკინა-ბეტონის სეისმიური სარტყელები. ლითონის კოჭების ქვეშ. რომლის კვეთია 350×400 მმ, არსებულ აგურის კედელში შეწრაა 150 მმ, მონოლითური რკინა-ბეტონის სეისმიური სარტყელის გრძივი არმატურა აღებულია 6ф12A500C კლასის, არმატურით, რომლის ბიჯია 200 მმ. მონოლითური რკინაბეტონის

სეისმიური სარტყელი დაბეტონება გათვალისწინებულია B25 მარკის ბეტონით. +4.00 ნიშნულზე მონოლითური რკინაბეტონის გადახურვა მოწყობა გათვალისწინებულია სისქით 100÷120 მმ, არმატურის ბადის მოწყობა ფილის ზედა და ქვედა შრეში გათვალისწინებულია ф10A500C და ф12A500C კლასის არმატურით, რომლის ბიჯია 200 მმ. მონოლითური რკინა-ბეტონის ფილის დაბეტონება B25 მარკის ბეტონით. ვიტრაჟების ლითონის სვეტების მოწყობა - 0,10 ნიშნულიდან I და II სართულის დონეზე გათვალისწინებულია ლითონის მილკვადრატით სვეტების მოწყობა, რომლის კვეთია 200×200×8 მმ, ხოლო ლითონის კოჭების კვეთა N30 ორტესებრი კოჭი, რომლის კვანძები გაძლიერებულია ლითონის ფურცლებით.

აგრეთვე გამაგრება-გაძლიერების პროექტით გათვალისწინებულია კარის ჩაჭრის ღიობის გამაგრება-გაძლიერება ლითონის ელემენტებით.

გამაგრება-გაძლიერების პროექტით გატვალისწინებულია +8.35 ნიშნულზე მონოლითური რკინაბეტონის გადახურვის გამაგრება-გაძლიერება, რისთვისაც არსებულ მზიდი კედლების განივი მიმართულებით ეწყობა N30 ორტესებრი ლითონის კოჭები, რომელთა შორის დაშორება არის 1500 მმ. აგრეთვე გათვალისწინებულია მონოლითური რკინაბეტონის სეისმიური სარტყელის მოწყობა, რომლის კვეთია 350×400 მმ. მონოლითური რკინაბეტონის სეისმიური სარტყელის გრძივი მიმართულებით ეწყობა 6ф12A500C კლასის არმატურა, ხოლო განივი მიმართულებით ეწყობა ф6A240C კლასის არმატურის საკიდები, რომლის ბიჯია 200 მმ, მონოლითური რკინაბეტონის სეისმიური სარტყელის დაბეტონება გათვალისწინებულია B25 მარკის ბეტონით. +8.35 ნიშნულზე მონოლითური რკინაბეტონის გადახურვის ფილის სისქეა 150 მმ, რომლის ზედა და ქვედა შრეში ეწყობა ф12A500C კლასის არმატურის ბადე, რომლის ბიჯია 200 მმ. მონოლითური რკინაბეტონის გადახურვის ფილის დაშენება +8.35 ნიშნულზე გათვალისწინებულია B25 მარკის ბეტონით.

გამაგრება-გაძლიერების პროექტით გათვალისწინებულია ტექნიკური სართულის გამაგრება-გაძლიერება, რისთვისაც ეწყობა მონოლითური რკინაბეტონის სვეტები, რომლის კვეთია 400×400 მმ, სვეტის გრძივი მიმართულებით ეწყობა 4ф12A500C კლასის

არმატურა და 4ф10AIII კლასის არმატურა, განივი ეწყობა მონოლითური რკინაბეტონის რიგელები, რომლის კვეთია 400×600 მმ. მონოლითური რკინაბეტონის რიგელების გრძივი მიმართულებით რიგელის ზედა შრეში ეწყობა 4ф12A500C კლასის არმატურა, ხოლო განივი არმატურად აღებულია ф8A240C კლასის არმატურა, რომლის ბიჯია 100 მმ და 200 მმ. აგრეთვე საყრდენი კედლების მოწყობა გათვალისწინებულია მონოლითური რკინაბეტონით, საყრდენი კედლის სისქეა 300 მმ, ხოლო არმატურა აღებულია ф12A500C, ф10A500C და ф8A240C. მონოლითური რკინაბეტონის გადახურვის ფილის სისქეა 220 მმ. ფილის ზედა შრის და ქვედა შრის არმირება გათვალისწინებულია ф14A500C კლასის არმატურით, რომლის ბიჯია 200 მმ. მონოლითური რკინაბეტონის ფილის, მონოლითური რკინაბეტონის სვეტების მონოლითური რკინაბეტონის რიგელების, მონოლითური რკინაბეტონის საყრდენი კედლების დაბეტონება გათვალისწინებულია B25 მარკის ბეტონით.

არსებული შენობის გამაგრება-გაძლიერების შემდეგ გათვალისწინებულია არსებულ შენობაზე ლითონის ელემენტებით დაშენების განხორციელება. რისთვისაც არსებულ შენობაზე ეწყობა ლითონის კარკასი. ლითონის სვეტის კვეთია ლითონის მილკვადრატი 200×200×8 მმ, ხოლო ლითონის კოჭების კვეთია N27 ლითონის ორტესებრი კოჭი. ლითონის კოჭები და ლითონის სვეტები ერთმანეთთან შეერთებულია ელექტრო შედუღებით, ლითონის სვეტებს შორის გათვალისწინებულია ვერტიკალური კავშირების მოწყობა ლითონის მოლკვადრატებით, რომლის კვეთია 80×80×4 მმ. მონოლითური რკინაბეტონის გადახურვის ფილის სისქეა 80 მმ, არმატურის ბადე ეწყობა ქვედა შრეში ф10A500C კლასის არმატურით, რომლის ბიჯია 200 მმ. მონოლითური რკინაბეტონის ფილის დაბეტონება გათვალისწინებულია B25 მარკის ბეტონით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული სამშენებლო სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში ქ. თბილისში, უზნაძის ქუჩა N82-ში შპს ,,N12“-ის (ს/კ 404406549) საკუთრებაში არსებულ 668 კვ.მ. ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის საკადასტრო კოდი 01.13.08.001.059) არსებული 2 სართულიანი შენობის და მასზედ ერთი

სართულის ლითონის კონსტრუქციებით დაშენების გათვალისწინებით შენობის მზიდი კონსტრუქციები სეისმიურად მდგარადია და საიმედო.

ქ. თბილისში, უზნაძის ქუჩა N82-ში (ს/კ 404406549) შპს ,,N12“-ის საკუთრებაში არსებული 668 კვ.მ., ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის საკადასტრო კოდი 01.13.08.001.059) არსებულ 2 სართულიან შენობის რესტავრაციის სასტუმრო ,,ჯაზ ჰოტელი“-ს კორექტირებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოებაზე პროექტის შეთანხმებაზე და მშენებლობის ნებართვაზე შპს ,,N12“-ს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქლაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განაცხადი შეტანილია 2018 წლის 25 მაისს, განაცხადის ნომერია AR1603472.

წარმოდგენილი კორექტირებული პროექტით დამატებით კორექტირებული სამუშაოებია: 5-6 ღერძებსა და ბ-დ ღერძებში კორექტირებული პროექტით გათვალისწინებულია ლითონის კიბის მოწყობა, რომლის ელემენტების კვეთია ლითონის შველერი N16, N20 ლითონის ორტეხებრი კოჭი, ლითონის მილკვადრატები კვეთით 60×60×3 მმ. კიბის საფეხურის სიგანეა 300 მმ, ხოლო სიმაღლე 150 მმ. ლითონის კიბის საფეხურები და შუბლის მოწყობა გათვალისწინებულია ლითონის ფურცლებით, რომლის სისქეა 16 მმ. ლითონის ელემენტების ერთმანეთთან შეერთება გათვალისწინებულია ელექტროშედუღებით. აგრეთვე კიბის უჯრედში დამატებით გათვალისწინებულია მონოლითური რკინაბეტონის სარტყელის ნოწყობა. აგრეთვე კორექტირებული პროექტით გათვალისწინებულია ,,2-1“ ღერძებში არსებული თაღის გამაგრება-გაძლიერება ლითონის ელემენტებით, ლითონის კუთხოვანა 100×100×10 მმ, კუთხოვანები ეწყობა არსებული თაღის ორივე მხარეს და ერთმანეთთან შეერთებულია ლითონის ფურცლებით, რომლის კვეთია - 500×200×8 მმ.

აგრეთვე ლითონის კოთხოვანები თაღის კედლებში ჩაანკერებულია ф16 მმ ანკერებით, ლითონის ფურცლების მეშვეობით, რომლის კვეთის ზომებია - 500×100×8 მმ. აგრეთვე კედლებზე გათვალისწინებულია არმატურის ბადის მოწყობა, რის შემდეგაც კედლები უნდა გაილესოს მაღალი სიმტკიცის ხსნარით.

კორექტირებული პროექტით II სართულზე. გათვალისწინებულია ღიობების და კედლების გამაგრება-გაძლიერება, ზოგიერთ შემთხვევაში არსებული კედლის მონგრევა, დაზიანებული კედლების გამაგრება-გაძლიერება; +7.95 ნიშნულზე ეწყობა მონოლითური რკინაბეტონის სეისმიური სარტყელი, რომლის კვეთია 500×400 მმ, 500×300 მმ, 800×300 მმ. სეისმიური სარტყელის გრძივი მიმართულებით ეწყობა 8ф16A500C კლასის არმატურა, ხოლო განივი მიმართულებით ეწყობა ф8A240C კლასის არმატურის საკიდები, რომლის ბიჯია 200 მმ. მონოლითური რკინაბეტონის სეისმიური სარტყელის ჩამაგრება არსებულ აგურის კედელში გათვალისწინებულია ф12A500C კლასის არმატურით. მონოლითური რკინაბეტონის სვეტების კვეთია 300×400 მმ. სვეტის გრძივი არმატურად აღებულია ф18A500C კლასის არმატურით, ხოლო განივი არმატურად აღებულია ф8A240C კლასის არმატურა. მონოლითური სვეტები ეწყობა ქვედა სართულზე შუაკედლისის თავზე (ღიობებს შორის). სვეტის დაცილება ღიობების კიდიდან უნდა იყოს არანკლებ 300 მმ. დაუშვებელია სვეტის მოწყობა ღიობის თავზე, სვეტის არმირების ნაშვერები ეწყობა წინასწარ სარტყელებში.

აგრეთვე გათვალისწინებულია თაღოვანი დაზიანებული ზღუდარების გამაგრება-გაძლიერება ლითონის ელემენტებით. ღიობის გასამაგრებლად ჯერ ძირზე ეწყობა ლითონის კუთხოვანა ‹160×160×10 მმ, რის შემდეგაც ღიობის კუთხეებში ვერტიკალურად ეწყობა ლითონის კუთხოვანა კვეთით ‹ 75×75×7; აგრეთვე ღიობის თავზე ეწყობა ლითონის კუთხოვან კვეთით ‹ 75×75×2. ლითონის კუთხოვანები ერთმანეთთან ერთდება ლითონის ფურცლებით, რომლის კვეთია - 100×6 მმ. კუთხოვანები აგრეთვე დუღდება კედლის გამაგრების არმატურაზე.

გარდა ამისა კორექტირებული პროექტით +4.00 ნიშნულზე დამატებით ,,ა-თ“ და ,,6-1“ ღერძებში გათვალისწინებულია სართულშუა გადახურვის გამაგრება-გაძლიერება. რისთვისაც არსებული მზიდი კედლებს შორის ეწყობა N30, N22 ლითონის კოჭები ყოველ 1500 მმ. მანძილზე. აგრეთვე ეწყობა მონოლითური რკინაბეტონის სეისმიური სარტყელები, რის შემდეგაც ეწყობა მონოლითური რკინაბეტონის ფილა, რომლის სისქეა 100 მმ.

აგრეთვე გამაგრების პროექტით გათვალისწინებულია დანადგარის ბაზა, სახურავის კოჭების ერთ მალში შესაძლებელია ბაზა ორმალიანის ნაცვლად ერთმალიანად შესრულდეს. შესაბამისად, დანადგარის ზომის შესაბამისად შესაძლებელია ბაზა სამ ან მეტ მალზე გადანაწილდეს. დანადგარის ბაზის მოსაწყობად ეწყობა სვეტები ლითონის მილკვადრატით 80×80×3 მმ. რომლებიც იკვრება N18 ლითონის შველერებით. ლითონის სვეტებს შორის ეწყობა კავშირების სისტემა ლითონის მილკვადრატით, რომლის კვეთია 40×40×3 მმ.

გარდა ამისა ტექნიკური სართული კეთდება ძირითადი შენობის რეკონსტრუქციის დასრულების შემდეგ. ეწყობა მონოლითური რკინაბეტონის სვეტები კვეთით 400×400 მმ. მონოლითური რკინაბეტონის რიგელები კვეთით 400×500 მმ. და ეწყობა მონოლითური რკინაბეტონის ფილა - 0.10 ნიშნულზე. არმატურის ბადე ეწყობა ტექნიკური ფილის ზედა და ქვედა შრეში. ф14A500C კლასის არმატურით. არმატურის ბიჯია 200 მმ, ტექნიკური ფილის სისქეა 220 მმ. დამცავი შრის სისქეა 15 მმ, ტექნიკური ფილის დაბეტონება გათვალისწინებულია B25 მარკის ბეტონით.

დასკვნა

ყოველივე ზემოთ აღნიშნული გამოკვლევის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქ. თბილისში, უზნაძის ქუჩა N82-ში შპს ,,N12“-ის (ს/კ 404406549) საკუთრებაში არსებულ 668 კვ.მ. ფართობის არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის საკადასტრო კოდი 01.13.08.001.059) არსებული 2 სართულიანი შენობის და მასზედ ერთი სართულის ლითონის კონსტრუქციებით დაშენების გათვალისწინებით და კორექტირებით სამუშაოების გათვალისწინებით შენობა-ნაგებობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების წარმოება შესაძლებელია და მიზანშეწონილია წარმოდგენილი კორექტირებული პროექტით გათვალისწინებული კორექტირებული სამუშაოების წარმოება, ვინაიდან კორექტირებული პროექტით გათვალისწინებული კორექტირებული სამუშაოების წარმოება ზეგავლენას ვერ მოახდენს არსებული შენობის

მზიდი კონსტრუქციების ამტანუნარიანობაზე და სეისმომდგრადობაზე. შენობა ნაგებობის მზიდი კონსტრუქციები არის მდგრადი და საიმედო. შენობა-ნაგებობა არის უსაფრთხო მისი ექსპლოატაციის პერიოდში.

ინდივიდუალური მეწარმე ,,იუზა გეფერიძე“

დირექტორი: იუზა გეფერიძე

ექსპერტი

ინჟინერ-კონსტრუქტორი: იუზა გეფერიძე

შეადგინა: იუზა გეფერიძე

გამოკვლევაში გამოყენებული მასალები

1. საპროექტო დოკუმენტაცია.
2. სამშენებლო ნორმები და წესები სეისმომედეგი მშენებლობა (პ.ნ. 01.01-19) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 7 ოქტომბრის N1-1/2284 ბრძანება.
3. СНИП II – 7.87 - მშენებლობა სეისმიურ რაიონებში 1987 წელი.
4. СНИП 03.01-84 ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციები 1985 წელი.
5. СНИП 2.01-07.85 დატვირთვები და ზემოქმედებები 1986 წელი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: E17048852, 03/05/2017 12:05:49

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	იუზა გეფერიძე
სამართლებრივი ფორმა:	ინდივიდუალური მეწარმე
ძველი საიდენტიფიკაციო ნომერი:	108149058
საიდენტიფიკაციო ნომერი:	01024028796
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ლ.არდაზიანის ქ., №30

დამატებითი ინფორმაცია:

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

მისამართი/ეკონომიკური საქმიანობის სახე

• ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი ,ლ.არდაზიანის ქ. N 30 (უნ.კოდი:0001)

E17048852, 03/05/2017 M.71.11.0; F.41.10.0; F.41.20.0;

გამოყენებული ეკონომიკური საქმიანობის სახეების ცნობარი

F.41.10.0 სამშენებლო პროექტების შემუშავება

F.41.20.0 საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა

M.71.11.0 არქიტექტურული საქმიანობები

ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციის ვადაა 1 წელი რეგისტრაციის მომენტიდან. ამ ვადის გასვლა იწვევს რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების ძალადაკარგულობას, თუ დაინტერესებული პირი არ წარადგენს მოთხოვნას რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ.

• დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge;
• ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში და იუსტიციის სახლებში;
• ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
• კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
• საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
• თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

დიპლომი

Б-I № 020907

ეს დიპლომი მიეცა გეგეჭიძე
იუზა ალექსანდრეს ძეს
მასზე, რომ ივი 1970 წელს შევიდა
ვ.ი.ლენინის სახ.საქართველოს
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1975წელს დაამთავრა
ალნაშნული ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით
სამრეწველო და სამოქალაქო
მშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1975 წ.
„27" აგვისტოს გადაწყვეტილებით
ა.ა.გეგეჭიძეს მიენიჭა
ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

თავმჯდომარე
მდივანი

ქ. თბილისი 1975წ. „23" IX
სარეგისტრაციო № ст. 4096

Грузинский яз.

ДИПЛОМ

Б-I № 020907

Настоящий диплом выдан Гегеридзе
Юза Александровичу
в том, что он в 1970 году поступил
в Грузинский политехнический
ин-т им. В.И. Ленина
и в 1975 году окончил полный курс
названного института
по специальности
Промышленное и гражданское
строительство

Решением Государственной экзаменационной
комиссии от „27" июля 1975 г.
Гегеридзе Ю.А.
присвоена квалификация
инженера-строителя

Председатель Государственной
экзаменационной комиссии
Ректор
Секретарь Бутукури

М.П. Город Тбилиси „23" IX 1975 г.
Регистрационный № ст. 4096

Московская типография Гознака, 1974.

GEO

საქართველო



სახელი / FIRST NAME
იუზა
IUZA
გვარი / LAST NAME
გეფერიძე
GEPERIDZE

მოქ. / CIT	სქესი / SEX	პირადი No / PERSONAL No
GEO	მ / M	01024028796

დაბადების თარიღი DATE OF BIRTH	მოქმედების ვადა DATE OF EXPIRY
16.01.1953	06.05.2025

ბარათის No / CARD No
13IK22588

ხელმოწერა SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
სამტრედია
SAMTREDIA
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
06.05.2015
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2014
სსს-ს რეგისტრაციის No 26-3184

IDGE013IK22588901024028796<<<<
5301160M2505060GE0<<<<<<<<<<<3
GEPERIDZE<<IUZA<<<<<<<<<<<<<<

შ.პ.ს. თბილზნიიეპი

LTD TBILZNIIEP

საქართველო, ქ. თბილისი,
პოლიტკოვსკაიას ქ. 18
ტელ: 579 97 00 44
ს/კ 405088630

Tbilisi, Georgia
Politkovskaya Str. 18
Tel: 579 97 00 44
ID.Number 405088630

№ _____ “ ___ _____

ქ.თბილისში, უზნაძის ქ.№82-ში მდებარე ორსართულიანი შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევის შედეგები

შპს „თბილზნიიეპი”

დირექტორი

გ.ონაშვილი

შემსრულებლები:

შ.პ.ს. "თბილზნიეპის" სამშენებლო მასალებისა და კონსტრუქციების საგამოცდო ლაბორატორიის უფროსი, ტექნ. მეც. კანდ. ს. მიქაძე

შ.პ.ს. "ABTectonic"-ის

მთავარი ინჟინერი, მშენებლობის ექსპერტი ; გ. გედევანიშვილი

ქ. თბილისში, უზნაძის ქ. №82-ში მდებარე ორსართულიანი შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევის შედეგები და რეკომენდაციები, კონსტრუქციათა გამაგრება-გაძლიერებაზე, მისი რეკონსტრუქციის პროცესში

მიმდინარე 2016 წლის ივნისის თვეში ობიექტზე ჩატარებულ იქნა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ხსენებული შენობა ლენტური საძირკვლების (ყორე წყობა; ფლეთილი ქვა კირის დუღაბზე) საშუალებით დაფუძნებულია თიხნარზე (ღია მოყავისფრო ფერის, ფოროვანი, ხვინჭის და "თეთრთვალას" ბუდობების იშვიათი ჩანართებით, ბუნებრივ პირობებში ნახევრად მყარი კონსისტენციის, რომლის წინაღობაა R_0=180 კპა (1.8 კგძ/სმ^2), შეჭიდულობა C=22 კპა (0.225 კგძ/სმ^2), შიგა ხახუნის კუთხე φ=14^0, დეფორმაციის მოდული E=9.7 მპა (97 კგძ/სმ^2), შესვენების შედეგად (გამოწვეული ტექნოლოგიური წყლებისგან, გაჟონილი დაზიანებული წყალშემცველი საინჟინრო კომუნიკაციებიდან) ხსენებული გრუნტი მკვეთრად კარგავს მის პირვანდელ ამტანუნარიანობას, რის შედეგადაც შენობამ განიცადა არათანაბარი ჯდენები და დეფორმაციები – ბზარების წარმოქმნის სახით კონსტრუქციულ ელემენტებში შენობის ზოგიერთ უბანზე.

რათა აღვკვეთოთ შენობის არათანაბარი ჯდენითი მოვლენები ("крен") მიზანშეწონილია:

1. შენობა გადაყვანილ იქნას ერთიან დასაძირკვლებაზე, გობისებური ფილის სახით, მონოლითური რკ. ბეტონისაგან, თიხნარ გრუნტებზე დაფუძნებით;
2. პირველი სართულის იატაკები მოეწყოს მონოლითური რკ. ბეტონის მომზადებაზე, ხოლო ტექნიკური სართულის წარმოქმნის შემთხვევაში მონოლითური რკ. ბეტონის ფილაზე;
3. გარკვეულ ზონაში (დამკვეთის მოთხოვნისა და შენობის მოცულობითი მოწყობის საჭიროებიდან გამომდინარე დაკავშირებული ტექნოლოგიურ პროცესებთან) მოეწყოს სარდაფი მონოლითური რკ. ბეტონის კონსტრუქციებისაგან;

4. შენობის ზონები (განსაკუთრებით პირველ სართულზე), სადაც შეინიშნება შედარებით საშუალო სახის დაზიანებები გამჭოლი ბზარების სახით შეიმოსოს ჯავშან-პერანგით, არმატურის ბადის გაკვრითა და ქვიშა-ცემენტის ხსნარის შებათქაშებით;
5. ზოგიერთი მძიმედ დაზიანებული კედელი ბზარწარმოქმნით ჩაისვას მონოლითური რკ. ბეტონის ჯავშანში;
6. შედარებით დიდი ზომის ფანჯრის ღიობები, რომელთა თავზედაც დაზიანებულია კამაროვანი ტიპის აგურის ზღუდარები, მოჩარჩოვდეს ლითონის პროფილირებული ელემენტებით;
7. ხის გადახურვები შეიცვალოს მონოლითური რკ. ბეტონის გადახურვებით;
8. სახურავის ზონაში ძველი, ჭიანაჭამი, დამპალი და გამოფიტული ხის კონსტრუქციები შეიცვალოს ახლით.

- ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები განხორციელდეს სათანადოდ დამუშავებული-აღდგენა-გამაგრება-გაძლიერების პროექტის მიხედვით;
- სამუშაოები იწარმოოს უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა სრული დაცვით, სათანადოდ, საზედამხედველო სამსახურის სპეციალისტთა მონაწილეობით.

შ.პ.ს. "ABTectonic"-ის

მთავარი ინჟინერი, მშენებლობის ექსპერტი ბ. გელეგანიშვილი

საერთო მონაცემები შენობისა და მისი დაზიანების შესახებ

შენობის პროექტის ავტორი და აგების ზუსტი თარიღი უცნობია. სავარაუდოდ, იგი აშენებულია XIX საუკუნის ბოლოს ან XX საუკუნის დასაწყისში.

შენობა გეგმაში მართხკუთხა ფორმისაა გაბარიტული ზომებით 20.06X29.30 მ. შიდა ეზოთი. შენობის უკანა მარჯვენა ნაწილში ზომებით 12.66X13.14 მ. შენობა ორსართულიანია მცირე სარდაფითა და სხვენით. სარდაფი განლაგებულია შენობის უკანა მარცხენა ნაწილში "ზ"-"ი" და "3"-"6"ღერძებს შორის (ნახ. 1). შენობის საძირკვლები ყორე ქვისაა ჩამქრალი კირის დუღაბზე. მზიდი გარე და შიგა კედლები აგურისაა ნაწილობრივ ჩამქრალი კირის დუღაბზე (ღიობების ზღუდარები და მოჩარჩოება), დანარჩენი კი თიხის დუღაბზე. კედლის სისქე პირველ და მეორე სართულებზე ერთნაირია და მერყეობს 45-81 სმ-ის ფარგმებში. სართულშუა გადახურვები უმეტესად ხისაა. სარდაფი გადახურულია აგურის თაღოვანი წყობით ჩამქრალი კირის დუღაბზე (ფოტო 2-2). ცენტრალური კიბის ბაქნების გადახურვა მოწყობილია ჰუტეს სისტემის ლითონის ორტესებრ კოჭებზე დაყრდნობილი აგურის თაღოვანი წყობით. თვით ცენტრალური კიბის მზიდი ჩანი შესრულებულია ამავე სისტემის ორტესებრი კოჭებისაგან, რომლებიც ბაქნების კოჭებზე მოქლონებითაა დამაგრებული (ფოტოები 14 და 15). საფეხურებად გამოყენებულია მარმარილოს ფილები. შენობის შუა ნაწილში "დ-ზ" გრძივ და "5-6" განივ ღერძებს შორის ორივე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები. როგორც ჩანს, მათ პერიოდულად შესაძლო უწესივრო ფუნქციონირების გამო ამ უბანში მომეტებულად აღინიშნება დეფორმაციები – დაბზარულია მიმდებარე კედლები და ღიობების ზღუდარები. შენობის შიდა ნაწილში ორივე სართულზე მოწყობილია შემინული აივანი ე.წ. "შუშაბანდი", რომელიც შიდა ეზოსთან დაკავშირებულია ლითონის კიბეებით. შენობის უკანა ნაწილში "ი" ღერძის მიმდებარედ "3" და "4" განივ ღერძებს შორის მოწყობილია ხის კიბე, რომელიც აკავშირებს

ერთმანეთთან სარდაფის, პირველ, მეორე და სხვენის სართულებს. ამჟამად მიმდინარეობს შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები და ტიხრები ორივე სართულზე აღებულია. სახურავი მოწყობილია ხის ნივნივა კოჭებზე დაფარებული მეტალო-კრამიტის ფურცლებისაგან. სახურავის ფენილი ახალი შეცვლილია – შენარჩუნებულია ადრინდელი ხის მზიდი კონსტრუქციები – ნივნივა კოჭები, მათზე მოწყობილია ახალი შეფიცვრა და დაფარებულია ახალი ჰიდროსაიზოლაციო ფენილი – მეტალო-კრამიტის ფურცლები (ფოტო – 19). სახურავი მრავალქანობიანია. ატმოსფერული ნალექების არინება ხორციელდება წყალშემკრები ღარების, ძაბრებისა და მილების გარე სისტემის საშუალებით.

სარდაფის სართულის გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ მისი საძირკვლები, კედლები და გადახურვა ნორმალურ მდგომარეობაშია – არ აღინიშნება ჯდომის, ბზარების და გადახრის დეფორმაციები.

პირველ სართულზე (ნახ. 2) განლაგებულია ორი შესასვლელი: სადარბაზო "5-6" ღერძებს შორის და ღია თაღოვანი "1-2" ღერძებს შორის. ღია შესასვლელი გადახურულია აგურის თაღოვანი წყობით ჩამქრალი კირის დულაბზე. ამდენად, მთელ შენობაში ამ შესასვლელის, სარდაფისა და მთავარი კიბის ბაქნების გადახურვების გარდა სართულშუა და ჭერის გადახურვები ყველგან შესრულებულია ხის კონსტრუქციებზე და ყველგან შენარჩუნებულია პირველადი სახით. საძირკვლების ჯდომის მკვეთრი სურათი არ აღინიშნება, მაგრამ პირველი სართულის კედლებში ზოგან გახსნილია ბზარები. ღია შესასვლელში "2" განივ ღერძზე მდებარე კედელში გახსნილია ბზარები "ბ" და "გ" გრძივი ღერძების მიმდებარედ. იხ. ხედები I-1 და I-2 (ფოტოები 7 და 8). ბზარების გახსნის სიგანეა 4-5 მმ. I-3 ხედზე ნაჩვენებია "დ" გრძივი და "5" განივი ღერძების გადაკვეთაზე გაჭრილი შურფი და საძირკვლის ზოგადი სახე (ფოტო – 9), ხოლო ფოტო – 10-ზე ასახულია სველი წერტილის მიმდებარე კედელში გახნილი ბზარები (ხედი I-4). სველი წერტილის მეორე მიმდებარე კედელში ("ზ" გრძივ ღერძზე) გახსნილი ვერტიკალური ბზარი ასახულია I-7 ხედზე (ფოტო-13). ბზარის გახსნის სიგანეა 5-6 მმ. "ი" გრძივ ღერძზე მდებარე ღიობის

ზღუდარში გახსნილია ბზარები (ხედი I-5, ფოტო – 11). იქვე მიმდებარედ ნიშის ზღუდარიც გახსნილია 3-4 მმ სიგანის დახრილი ბზარით (ხედი I-6, ფოტო – 12).

მეორე სართულის (ნახ. 3) კედლებშიც შეინიშნება ბზარების გახსნა სველი წერილის მიმდებარე კედელსა (ხედი II-2, ფოტო – 17) და "ი-თ" გრძივი ღერძებისა და "3" განივი ღერძის გადაკვეთაზე მდებარე კედელში განთავსებული ღიობის ზღუდარში გარეთა მხრიდან (ხედი II-4, ფოტოები – 4 და 6).

შენობის კედლებში გახსნილია სხვადასხვა სიგანის და კონფიგურაციის რამდენიმე ბზარი, მაგრამ ისინი ლოკალური ხასიათისა და შენობის საერთო მდგომარეობაზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს, მხოლოდ საჭიროა დროული ღონისძიებების მიღება მათი გამომწვევი მიზეზების აღსაკვეთად.

გამოსაკვლევი შენობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციები: შიგა და გარე კედლები; ღიობების ზღუდარები; სარდაფის, ღია შესასვლელის მთავარი კიბის ბაქნების გადახურვები შესრულებულია კერამიკული აგურის წყობით. წყობაში შემკვრელად გამოყენებულია ზოგან ჩამქრალი კირის დულაბი (ქვიშაზე), ზოგან კი თიხის დულაბი. შენობის კონსტრუქციების ფაქტიური მზიდუნარიანობის განსაზღვრის მიზნით ჩავატარეთ აგურისა და დულაბის გამოკვლევა.

კერამიკული აგური დამზადებულია სხმული ტექნოლოგიით. აგურები სრულტანიანია. მათი ზომები რამდენადმე განსხვავდება თანამედროვე სტანდარტული აგურის ზომებისაგან. აგურების ნიმუშების გამოცდამ გვიჩვენა, რომ მათი სიმტკიცე კუმშვაზე მერყეობს 68-დან 84 კგძ/სმ²-მდე, ხოლო სიმტკიცე ღუნვაზე 15-დან 21 კგძ/სმ²-მდე. ჩამქრალი კირის დულაბის სიმტკიცის მაჩვენებელი კუმშვაზე იმყოფება 18-23 კგძ/სმ²-ის ფარგლებში. თანამედროვე ნორმების მიხედვით მზიდ კონსტრუქციებში გამოყენებული აგურის უმცირესი სიმტკიცეა 75 კგძ/სმ². მისი შესატყვისია დულაბის სიმტკიცეც.

გამოსაკვლევი შენობა საუკუნეზე მეტი ხნისაა. ცხადია, მის კონსტრუქციებში არ არის გათვალისწინებული თანამედროვე ნორმებით დაწესებული ანტისეისმური ღონისძიებები. მზიდი კონსტრუქციების გადაკვეთის დიდი ზომებისა და მათზე მოსული მცირე დატვირთვების გამო (სულ ორი სართული) შენობა ამჟამად იმყოფება დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. ამ მოსაზრებას ადასტურებს გარეგნული სახე, რომელიც ასახულია აქ მოყვანილ სხვადასხვა რაკურსიდან გადაღებულ სურათებზე (ფოტოები – 1, 2, 3, 4, 5 და 6) ზოგან გაჩენილი ბზარები შეიძლება გამოწვეული იყოს ადრე მიყენებული სეისმური ბიძგების მოქმედებისაგან.

შენობის ღიობების ზღუდარების უმეტესი ნაწილი შესრულებულია აგურის სოლისებური წყობით ქვიშა-კირის დუღაბზე (ფოტო – 16, ხედი II-I). ნაწილი ზღუდარებისა – შენობის ღია და სადარბაზო შესახვლელები, მეორე სართულის მთავარი ფასადის ღიობი – შესრულებულია აგურის თაღოვანი წყობით ჩამქრალი კირის დუღაბზე. თაღოვან ზღუდარებში დაზიანებები (ბზარები) არსად არ შეინიშნება, ხოლო ჰორიზონტალური ზღუდარებიდან რამდენიმეში გახსნილია ბზარები. შენობის რეკონსტრუქციის პროცესში – ღიობების მოჭარჩოებითა და სართულშუა გადახურვების განახლებით გაიზრდება შენობის სეისმური მდგრადობა.

შენობის ახლანდელი საერთო ტექნიკური მდგომარეობა მზიდი ელემენტების განივკვეთის დიდ ზომებთან ერთად იმის საშუალებას იძლევა, რომ დაზიანებული კონსტრუქციების აღდგენა-გაძლიერების შედეგად ამაღლდეს ნაგებობის სიმტკიცისა და მდგრადობის მახასიათებლები მშენებლობის ნორმებისა და წესების თანამედროვე მოთხოვნების დონეზე.

შ.პ.ს. "თვილზნიიეპის: სამშენებლო მასალებისა
და კონსტრუქციების საგამოცდო ლაბორატორიის
უფროსი, ტექნ. მეც. კანდ. ს. მიქაძე



ფოტო-1



ფოტო-2



ფოტო-3 ხედი II-6 II-6



ფოტო-4, ხედი II-4 II-4



ფოტო-5, ხედი I-8 I-8



ფოტო-6, ხედი II-4 II-4



ფოტო-7, ხელი I-1



ფოტო-8, ხელი I-2



ფოტო-9, ხედი I-3



ფოტო-10, ხედი I-4



ფოტო-11, ხედი I-5



ფოტო-12, ხედი I-6



ფოტო-13, ხედი I-7



ფოტო-14



ფოტო-15



ფოტო-16, ხედი II-1



ფოტო-17, ხედი II-2



ფოტო.-18, ხედი II-3



ფოტო-19



ფოტო.20



ფოტო-21



ფოტო-22

შ.პ.ს. თბილზნიიეპი

LTD TBILZNIIEP

საქართველო, ქ. თბილისი,
პოლიტკოვსკაიას ქ. 18
ტელ: 579 97 00 44
ს/კ 405088630

Tbilisi, Georgia
Politkovskaya Str. 18
Tel: 579 97 00 44
ID.Number 405088630

№ _____ "___" _____

ქ. თბილისში, უზნაძის ქ. #80-ში და უზნაძის ქ. #84-ში მდებარე (უზნაძის ქ. #82-ის მიმდებარე შენობები) შენობების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევის შედეგები (ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე) და დასკვნა - რეკომენდაციები

შპს „თბილზნიიეპი"
დირექტორი
გ.ონაშვილი

ქ. თბილისში, უზნაძის ქ. №80-ში და უზნაძის ქ. №84-ში მდებარე (უზნაძის ქ. №82-ის მიმდებარე შენობები) შენობების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევის შედეგები (ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე) და დასკვნა-რეკომენდაციები.

ქ. თბილისში, უზნაძის ქ. №80-ში მდებარე ორსართულიანი შენობა მცირე სარდაფით და სხვენიანი დახურვით, გეგმაში წარმოადგენს ჯვარედინ ფორმასთან მიახლოებულ ნაგებობას, ხოლო უზნაძის ქ. №84-ში მდებარე ორსართულიანი შენობა მცირე სარდაფით და სხვენიანი დახურვით, გეგმაში წარმოადგენს მართკუთხა ფორმის შენობას. ორივე შენობა (თუ შევხედავთ მათ უზნაძის ქუჩიდან, ანუ მთავარი ფასადის მხრიდან) უზნაძის ქ. №82 შენობას ესაზღვრებიან მარცხნიდან და მარჯვნიდან, ეზოში ორგანიზებული თალოვანი შესასვლელით. სავარაუდოდ ეს შენობები აგებულია XIX საუკუნის ბოლოს ან XX საუკუნის დასაწყისში. შენობა უზნაძის ქ. №84-ში გამოირჩევა არქიტექტურული აღკაზმულობით.

ხსენებული შენობები ნაგებია წითელი აგურის გამოყენებით, დროთა განმავლობაში ფასადის კედლებიდან ნალესი ჩამოშალა და სახეზეა გაშიშვლებული კედლები აგურის წყობით. თუ დავეყრდნობით უზნაძის ქ. №82 შენობის ტექნიკური მდგომარეობის კვლევის მასალებს, შეიძლება ითქვას, რომ შენობები უზნაძის ქ. №80 და №84-ში ლენტური საძირკვლებით (ყორე წყობით, კირის დუღაბის ხსნარზე) დაფუძნებულნი უნდა იყვნენ თიხნარ გრუნტებზე, გადახურვები შესრულებული უნდა იყოს ხის კონსტრუქციებით, ხოლო აგურის წყობა მოწყობილი უნდა იყოს თიხის ხსნარზე, თაღები კი ღიობების თავზე, ზღუდარების სახით, ჩამქრალი კირის დუღაბის გამოყენებით. ორივე შენობას გააჩნია იტალიური ეზოები. მათი ფასადები ეზოს მხარეს დამთავრებულია ხის კონსტრუქციებზე მოწყობილი შუშაბანდებით. გარე ფასადის მხრიდან კი შენობებს აქვთ კონსოლური აივნები ლითონის ელემენტების გამოყენებით, აღკაზმული ჭედურობით. შენობები ნაგებია სეისმიურ მოთხოვნათა გარეშე.

შენობებს, მდებარეს უზნაძის ქ. №80 და №84-ში, ვიზუალური დათვალიერებით, მათ ზოგიერთ მონაკვეთში, (განსაკუთრებით უზნაძის ქ. №80) ფასადური მხრიდან აღენიშნებათ დეფორმაციები, ძირითადად ფანჯრის ღიობთა (თალოვანი ტიპის) ზღუდარების თავზე, უმეტესად ვერტიკალური ბზარების სახით, ხოლო დახრილი ბზარები, ფანჯრის თაროს ქვედა ნაწილებში (ეგრეთწოდებულ შუაკედლისებში). ბეკრგან, გარეგანი რეაგენტების შედეგად, კედლებიდან ჩამოცვენილია ნალესი. ღიობებს დეპლანირებები არ აღენიშნებათ, ასევე შენობებს არ აღენიშნებათ არათანაბარი ჯდენის ნიშნები. ხსენებული ბზარები, უფრო მეტად, გამოწვეული უნდა იყოს ადრე მიყენებული სეისმიური ბიძგების მოქმედებისაგან. აქვე გვინდა ავღნიშნოთ ის ფაქტიც, რომ უზნაძის ქუჩა მეტად გადატვირთულია სატრანსპორტო საშუალებებით და მოძრაობა აქ ატარებს ინტენსიურ ხასიათს. მიუხედავად ასეთი არასახარბიელო გარემოსი, ნაგებობანი საიმედოდ გამოიყურებიან.

ამჟამად, უზნაძის ქ. №82-ში მდებარე ორსართულიან აგურის შენობას უტარდება სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოები. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებამდე, ხსენებულ ნაგებობას ჩაუტარდა ყველა სახის კვლევა-ძიება (ტოპო გადაღება, საინჟინრო ქსელების ფიქსაციით, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, შენობის ტექნიკური პირობების კვლევა, როგორც ვიზუალური ასევე ლაბორატორიული), რის შემდგომაც შედგა რეკონსტრუქცია-რესტავრაციის პროექტი.

პროექტით შენობა ექვემდებარება გარკვეული სახის გამაგრება-გაძლიერებას. არსებული სასხვენო გადახურვის მაგივრად აქ მონტაჟდება სართული ლითონის მსუბუქი კონსტრუქციებისაგან.

სარეკონსტრუქციო სარესტავრაციო ღონისძიებები მოიცავს უზნაძის ქ. №82-ის საძირკვლების და კედლების გაძლიერებას, გადახურვის არსებული ხის კონსტრუქციების შეცვლას ლითონით და მონოლითური რკინაბეტონით, ასევე ღიობების მოჭარჩოება- გაძლიერებას. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები პროექტის მიხედვით შესრულდება გაძლიერების საიმედო მეთოდების გამოყენებით, უსაფრთხოების წესების სრული დაცვით, სათანადოდ საზედამხედველო სამსახურის სპეციალისტთა მონაწილეობით. სამუშაოთა მიმდინარეობისას ჩატარდება შენობის მზიდი კონსტრუქციების მონიტორინგი, რაიმე ცვლილებების შემთხვევაში კი საკითხი გადაწყდება პროექტის ავტორის თანდასწრებით, პროექტის სათანადო კორექტირებით.

მომიჯნავე შენობებზე დაფიქსირებულ ბზარებზე და სხვადასხვა სახის დეფორმაციებზე იწარმოებს დაკვირვება, მიმდინარე მშენებლობის პროცესებიდან გამომდინარე, ზემოქმედების დასადგენად.

მომიჯნავე, უზნაძის ქ. №80 და №84-ში მდებარე შენობები ამჟამად იმყოფებიან დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. რაც შეეხება ხსენებულ სამონტაჟო სამუშაოებს, რომლებიც სრულდება უზნაძის ქ. №82-ში მდებარე შენობაზე, იგი რეალურად არ შეუქმნის საფრთხეს მათ; სიმტკიცის, დეფორმაციულობის, საიმედობის და მდგრადობის თვალსაზრისით.

მშენებლობის ექსპერტი: გ. გედევანიშვილი

ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №80
არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტო მასალა ფურც.-1













ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №80
არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტო მასალა ფურც.-2













ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №84
არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტო მასალა ფურც.-1








ქ. თბილისი, ზნაურის ქ. №84
არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტო მასალა ფურც.-2

